

## რუთის წიგნი

რუთის წიგნი ძველი აღთქმის მერვე წიგნია – მეფეთა წიგნების ერთგვარი კარიბჭე, როგორც ქრონოლოგიურად, ისე პრინციპულად: ამ წიგნში ვიგებთ, როგორ შეიქმნა ის ოჯახი, სადაც რამდენიმე თაობის შემდეგ დავითი იშვა. იგი დამოუკიდებელი ნარატივია, თუმცა შეიძლება ჩართული ყოფილიყო „მსაჯულთა წიგნში“, რომლის ხანასაც მასში მოთხრობილი ამბავი ეკუთვნის.

### ქანრი

„რუთის წიგნი“ ტიპიური მოთხრობაა ამ ქანრის ყველა ნიშნით. პერსონაჟთა შეზღუდული რაოდენობა (ოთხი ძირითადი და რამდენიმე მეორეხარისხოვანი), ნათელი კომპოზიცია კვანძის შეკვრითა და გახსნითურთ, ერთი თემა თავისი ვარიაციებითურთ, მსუბუქი პროვიდენციალიზმი, რომელიც არ ძალადობს მოქმედების განვითარებასა და მოტივაციაზე, თუმცა ძუნწი, მაგრამ არსებითი დიალოგები, შესვედრები, რომლებიც ამზადებენ თხრობის ახალ რეგისტრში გადასვლას და სხვა მრავალი დეტალი მოწმობს, რომ ამ წიგნის სახით ძველი აღთქმის კორპუსში წარმოდგენლია მაღალმხატვრული თხზულება, თუმცა მისი ავთენტურობა (დოკუმენტალურობა) ეჭვს გარეშეა.

ამ მცირე ნაწარმოებში უხვად არის გამოყენებული მხატვრული ხერხები (ხიაზმები, მერიზმები, განმეორებანი, ასონანსები, სიტყვის თამაში), თუმცა ზოგიერთი მათგანი თავად ენის იდიომატური კუთვნილებაა. ძუნწი თხრობა მხოლოდ ჰმატებს ექსპრესიას და, თუმცა ვერც ერთი თარგმანი ამას ვერ ასახვას, ტექსტი ალაგ-ალაგ მოწმობს, რომ თითქოს იგი თავდაპირველად პოეტური ზეპირმეტყველების საკუთრება უნდა ყოფილიყო და მხოლოდ მოგვიანებით გადაიტქვა პროზად (ტექსტში ოცდაათზე მეტი პოეტური ფრაგმენტი დადასტურებული).

რუთის წიგნი, როგორც დამოუკიდებელი თხზულება, არ დგას განცალკევებით ძველი აღთქმის წიგნთა შორის. ასევე მოკლე თუ ვრცელ მოთხრობებად უნდა მივიჩნიოთ იოსების ამბავი (დაბ. 37-50), იონას წიგნი, ესთერის წიგნი და ასეთივე მსაჯულთა წიგნში ჩართული დამოუკიდებელ-სიუჟეტური ნარატივები – სამსონის დრამატული თავგადასავალი (მსაჯ. 13-16) და ბენიამინელთა შეცოდების ამბავი (მსაჯ. 19-21).

მათ შორის, გასაგები მიზეზის გამო, ერთადერთმა (ესთერის წიგნს თუ არ მივიღებთ მხედველობაში) რუთის და ბოყაზის ამბავმა მიიღო დამოუკიდებელი წიგნის სტატუსი.

### ეპოქა

მსაჯულთა რომელ ხანას მიეკუთვნება ეს ამბავი? ავტორს არ მიუჩნევია საჭიროდ, დაესახელებინა მსაჯული, რომლის დროსაც შიმშილი ჩამოვარდა ისრაელში. შესაძლოა, ეს ის ხანაა, როცა მოაბი ბატონობს ისრაელზე („მორჩილებდნენ იარაელიანები ყვეგონს, მოაბის მეფეს თვრამეტი წელი“ მსაჯ. 3:14), ან სხვა ანალოგიურ ხანაში; ან, შეიძლება გვეფიქრა, რომ ეს ის შუალედური ხანაა, როცა შემწყდარია ერთი მსაჯულის მსაჯულობა და უფალს ისრაელში ახალი მსაჯული ჯერ კიდევ არ მოუვლენია როგორც ჩვეულებრივ მოავლენდა ხოლმე პერიოდულად (მაგ., მსაჯ. 3:9). უმსაჯულობის პერიოდში ქვეყანა და ხალხი, რომელიც განმდგარია უფლისგან, მტრის (ფილისტიმელები, მიდიანელები, ყამონიანები...) სათარეშოდ არის ქცეული. ამას ერთვის შინა აშლილობა – მდგომარეობა, რომლის დასახასიათებლად გამოყენებულია ფორმულა: „იმ ხანებში მეფე არ ჰყავდა ისრაელს: ვის როგორ უნდოდა, ისე იქცეოდა“ (მსაჯ. 21:25). რუთის წიგნში თითქოს სიმშვიდეა, გარეშე მტერი არ ჩანს, მაგრამ შიმშილი მძვინვარებს. ასეთ დროს მომხდურის თარეში აზრს კარგავს: სათარეშო არაფერია. ამ დროს თავის გადასარჩენად თავად ქვეყნის მკვიდრი სტოჯებს ჩვეყანას და უცხო მხარეში გადაიხვეწება.

პატრიარქების ხანაში – ჯერ აბრაამს, მერე ისაკს მოუხდათ ქანაანში ჩამოვარდნილი შიმშილის მიზეზით ქვეყნის დატოვება. აბრაამი ეგვიპტეში ჩავიდა, ისაკი – გერარში. აბრაამის ჩასვლას ეგვიპტეში პროვიდენციული სახე ჰქონდა. მას როგორც ერის მამამთავარს, უნდა გაეგლო ის გზა, რომელიც მის ერს მომავალში ელოდა.

## მოაბი

უნდა შეინიშნოს იმ ქვეყნების ამბივალენტური ხასიათი, სადაც შიმშილისგან თავის გადასარჩენად აფარებენ თავს. პირველად ეგვიპტე იყო ის ქვეყანა, სადაც ჯერ აბრაამი სარასთან ერთად და მერე იაკობის სახლი (სამოცდაათი სული) ჩავიდა და სადაც ისინი არა თუ ფიზიკურად გადარჩნენ, არამედ გამრავლდნენ კიდევ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ეგვიპტის, როგორც მხსნელის, მისია ამოიწურა და გამრავლებული (ზედმეტადაც კი) ისრაელიანების იქ ყოფნა უარყოფითი ნიშნით აღინიშნა, ეს ქვეყანა „მონობის სახლის“ სინონიმი შეიქნა. თავად ჩასვლა (ებრ. უარად), რომელიც მიანიშნებდა ეგვიპტის მდებარეობას ზღვის დონის მიმართ, რელიგიურ-ზნეობრივი შინაარსით იტვირთება, ისე რომ ყოველი მონატრება ეგვიპტეში დაბრუნებისა, რომელსაც განიცდის უდაბნოში მყოფი ან უკვე აღთქმულ ქვეყანაში დამკვიდრებული ხალხი, წარმართობისკენ ამორალურ ლტოლვად, უფლის დალატად არის შეფასებული. ეგვიპტის გეოგრაფიულად დაბალი მდგომარეობა რელიგიურ-მორალური დაცემის სიმბოლური გამოხატულება ხდება. ეს კარგად ჩანს იოსების ეპიზოდში. მისი დაღმასვლა თვალსაჩინოა, თუმცა ამ დროს ეგვიპტეს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული უარყოფითი კონოტაცია. ეგვიპტისკენ გზაზე გამზადებული იოსები ჯერ ჭაშია ჩაგდებული, მერე ვაჭრები ჩაიყვანენ ეგვიპტეში და, ბოლოს, ის დილეგში აღმოჩნდება, საიდანაც მას პროვიდენცია ამოიყვანს. მისი ამოყვანა დილეგიდან და ფარაონის მეორე კაცად გახდომა ერთგვარი პირობაა იმისა, რომ იაკობის სახლის სამოცდაათი სული აქ შიმშილისგან თავს გადაირჩენს. მოწოდება „გახსოვდეთ ეგვიპტე“ ასევე ამბივალენტურია: გახსოვდეთ, რომ იქ თავი გადაირჩინეთ და გახსოვდეთ, რომ იქ მონობაში ჩავარდით.

მოაბის ტომი, თუ მის ვინაობას ნათესაობის ტერმინოლოგიით განვსაზღვრავთ, იაკობს (12 ტომის მამამთავარს) იგი მეორე საფეხურის ბიძაშვილად მოხვდება. ლოტის მამა ჰარანი, რომელიც „ქალდეველთა ურშივე“ გარდაიცვალა, აბრაამის ძმაა. აბრაამის ძე ისაკი და ჰარანის ძე ლოტი მკვიდრი ბიძაშვილები არიან. ისაკის ძე იაკობი და ლოტის ძე მოაბი უკვე გარეშე ბიძაშვილები არიან, მაგრამ ეს გარეშეობა მათ ნათესაობას არ ანელებს. თუმცა სისხლის ნათესაობა, რომელსაც არაფერი ამღრვეს მათ გენეალოგიაში, უკან იხევს სხვა ფუნდამენტური განსხვავების წინაშე. ისრაელმა, რომელსაც გამოვლილი ჰქონდა ეგვიპტის განსაცდელი, მერე უდაბნოს წრთობა და, საბოლოოდ, სინას მთის გამოცხადება, შორს ჩამოიტოვა თავისი არცთუ შორეული ნათესავი. მიუხედავად საერთო ენისა (მათ შორის მხოლოდ მსუბუქი დიალექტური განსხვავებაა), რასაც მოწმებს ძვ. წ. IX ს-ის მოაბური წარწერა (ე. წ. მეშას სტელა), მათ შორის კულტურულ-რელიგიური სხვაობა, განპირობებული თითოეული მათგანის ისტორიული გამოცდილებით, აშკარაა. ერთ ენაზე მოლაპარაკე ბიძაშვილები ისე დაშორდნენ ერთმანეთს, რომ ბუნებრივი გაუცხოება სამკედრო-სასიცოცხლო მტრობაში გადაიზარდა. ეგვიპტიდან ამოსული, უდაბნოში ორმოცწლიანი ხეტიალის შედეგად მომთაბარე ხალხად გადაქცეული ტომი, თავის ტერიტორიაზე არ გაატარა მოაბმა, რომელიც ამ დროისთვის მკვიდრ ცხოვრებას ეწეოდა. ჰქონდა თავისი ქალაქ-სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთის ტრადიციულ ქალაქ-სახელმწიფოთა ყაიდაზე გამართული, ისრაელიანებს კი არაფერი გააჩნდათ, გარდა რჯულისა, რომელიც სინაიზე მიიღეს და საქონლისა, რომელთანაც ერთად უდაბნოს გზებზე დახეტიალობდნენ. მაგრამ მათი იყო მომავალი, რომელიც სწორედ მოაბის მეფის მიერ დაქირავებულმა მისანმა იწინასწარმეტყველა. ისრაელიანთა სიმრავლით შეშინებულმა მეფემ ბალაამს მათი დაწყევლა სთხოვა, შუამდინარეთიდან დაბარებულმა მისანმა კი კურთხევასთან ერთად მათი მომავალიც განჭვრიტა.

„ვხედავ მას, მაგრამ არა ახლა;  
ვუყურებ მას, მაგრამ არა ახლოდან.  
ამოდის ვარსკვლავი იაკობიდან,

როცა მისნობამ არ გასჭრა, მოაბმა, როგორც ჩანს, სხვა ხერხი იხმარა: ებრაელთა ბანაკში ქალები შეაგზავნა – „და დაიწყო გარყვნა ხალხმა მოაბის ასულებთან“ (რიცხ. 25:1). ებრაული ზანოთ, რომელსაც ქართულ ტექსტში შეესატყვისება „გარყვნა“, ორმაგი მნიშვნელობის შემცველია: სექსუალური გარყვნილება და სარწმუნოებრივი განდგომა. პირველი მეორის მეტაფორაა. ისრაელი შეეუღლა მოაბის ასულებს და ამ შეუღლებამ ისინი მათი ღმერთების თაყვანისცემამდე მიიყვანა. ანუ ისრაელიანებმა მონაწილეობა მიიღეს ქანაანში დამკვიდრებულ ორგიასტულ, ნაყოფიერებისადმი მიძღვნილ დღესასწაულში, კერძოდ, ბაალ-ფელორის დღესასწაულში, შეეუღლნენ მოაბელ ქალებს, ეგრეთ წოდებული „საკრალური ქორწინების“ წესისამებრ, და ჭამეს ღმერთებისადმი შეწირული მსხვერპლი ანუ ნაკერპავი. ამით მათ დაარღვიეს ათი მცნების ორი პირველი მცნება – აკრძალვა სხვა ღმერთების ყოლისა და აკრძალვა მათთვის თაყვანისცემა-მსახურებისა. ამავე დროს, დაირღვა აკრძალვა, რომელიც მათ აფრთხილებდა ქანაანელ ასულებთან ურთიერთობისაგან. მოსე ამ გაფრთხილებით მათ ამზადებდა აღთქმულ ქვეყანაში საცხოვრებლად, მაგრამ ისინი იქ დამკვიდრებამდე ივიწყებენ მას. უცხოტომელ ქალებთან შეუღლება, ნაკერპავის ჭამა, უცხო ღმერთების თაყვანისცემა – ერთი რივის ცოდვაა, რაც დაუფონებლივ იწვევს უფლის, მათი ეჭვიანი ღმერთის რისხვას. ისრაელიანებმა უღალატეს თავიანთ ღმერთს უცხო ღმერთებთან, რისთვისაც უნდა დაისაჯონ. ისინი განუდგნენ უფალს და უფალიც განუდგება მათ რისხვით. ეს შემთხვევა სამარადისო გახსენებად დარჩა ისრაელის ისტორიაში სახელწოდებით „ბალ-ფელორის ცოდვა“. მოაბთან მტრული დაპირისპირება ამით არ ამოიწურა. ქანაანში შესვლამდე, ისრაელიანებს ელოდათ გადამწყვეტი ბრძოლა მიდიანელთა და მოაბელთა კოალიციასთან, რომელიც ასევე ისტორიულ ნიშანსვეტად იქცა: „მიდიანის დღემ“ ესქატოლოგიურ განზომილებას შეიძენა. იგი არქეტიპი გახდა ყოველი გადამწყვეტი ბრძოლისა და, საბოლოოდ, გამარჯვებისა (იხ. ეს. 9:3).

მოაბს ამ სამკედრო-სასიცოცოცხლო დაპირისპირებამ გადაუკეტა გზა ისრაელის, ანუ, რაც იგივეა, უფლის კრებულში გასაერთიანებლად: „ვერ შევლენ ყამონელები და მოაბელები უფლის საკრებულოში, მათი მეთე თაობაც კი ვერ შევა უფლის საკრებულოში უკუნისამდე“ (რჯლ 23:3; შდრ. ნეემია 13:1).

აი, ასეთ ქვეყანაში მიდის ერთი ისრაელიანი ოჯახი შიმშილისგან თავის გადასარჩენად.

## ოჯახი

ამბავი ფოკუსირებულია ერთი ოჯახის ისტორიაზე, იგი გამადიდებელი შუშით არის დანახული, რაც იშვიათია ძველი აღთქმის წიგნებში. ამბავი არც არის ტიპიური. წიგნი იწყება იმით, რომ „წავიდა ერთი კაცი იუდას ბეთლემიდან მოაბის ველზე მდგმურად თავისი ცოლითა და ორი ვაჟითურთ“ (რუთ. 1:1). შიმშილის მასშტაბს მოწმობს ის, რომ ბეთლემიც კი, რომელიც პურის ბელად მიიჩნეოდა (*ბეთ ლეხემ* „სახლი პურისა“), დასტოვა მისმა მკვიდრმა და მოაბს შეეხიზნა. სიტყვა „მდგმურად“ (*ლა-გურ*) გვეუბნება, რომ ეს კაცი, სახელად ელიმელეჟი, არ აპირებდა სამუდამოდ დარჩენას მოაბში, მაგრამ მისმა ვაჟებმა მისი სიკვდილის შემდეგ, ჩანს, სხვაგვარად გადაწყვიტეს, რაკი „მოიყვანეს ვაჟებმა მოაბელი ქალები“, მოსეს რჯული კი ისრაელიანებს მოაბელებთან ქორწინებას უკრძალავდა. სიკვდილი თან სდევს თავის გადასარჩენად ჩასულ ამ ოჯახს. „დაიხოცნენ ეს ორნიც – მახლონი და ქილიონი. და დარჩა დედაკაცი უშილოდ და უქმროდ“. ასეთ მდგომარეობას ჩვენში (კერძოდ, ხევსუერთში) *დაღევას* ეძახიან. დაიღია ოჯახი, ამოწყდა გვარი *შეილ-ბოლოთურთ* (კვლავ ხევსურული ტერმინოლოგიით). თუმცა ღმერთი ქვრივ-ოხრების შემწეა (ფსალმ. 68:5), მაგრამ შეწვენილი რომ იყოს, ნაყოში, ასე ერქვა დედაკაცს, აღთქმულ მიწაზე, თავის ხალხში, როგორც ერთი მათგანი, უნდა იმყოფებოდეს. ნაყოში, რომელმაც ყველაფერი დაკარგა, მომავალს მაინც თავის ქვეყანაში ელის. რომ არ დახოცილიყვნენ მოაბში ჩასიძებული მახლონი და ქილიონი, ალბათ სამუდამოდ ჩარჩებოდნენ მოაბში, ქამოშის ქვეყანაში და, შესაძლოა, ქამოშის მსახურები გამხდარიყვნენ, დაძლევა მათ ცოლების რჯული, როგორც სოლომონს, რომელიც

სწორედ ცოლებმა გადახარეს უცხო ღმერთებისკენ. ასე რომ, მათი სიკვდილი ერთგვარი ხსნაც კი იყო.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ გახიზნული ოჯახი მართლაც მოაბში საბოლოოდ დარჩენას აპირებდა, თუნდაც ხიზნის სტატუსით, რაც არცთუ სახარბიელო უნდა ყოფილიყო მათთვის. სხვანაირად ვერ ავხსნით ფრაზას: – ვაჟების დაქორწინების შემდეგ (მამა ცოცხალი აღარ არის) – ისინი „ცხოვრობდნენ იქ ათიოდე წელი“. ნუთუ ათიოდე წელი გაგრძელდა შიმშილი ბეთლემში? ეს დაუჯერებელია. ელია წინასწარმეტყველების ხანაში გვალვა და შიმშილობა სამ წელს გაგრძელდა (3მეფ. 17:1; 18:1) და ეს უფლის უკიდურეს სასჯელად არის მიჩნეული. გვალვა ღვთის რისხვა იყო: „სპილენძად გექცევა თავზე ცა და მიწა – რკინად შენს ფეხქვეშ. მტვრად აქცევს უფალი შენი ქვეყნის წვიმას და ნაცარი დაგეყრება თავზე“ (რჯ. 28:23-24). საყოველთაო გვალვის პერიოდი ქანანის პირობებში სამ წელიწადს არ აჭარბებს. იაკობის დროინდელი უნაყოფობის შვიდი წელიწადი, ბუნებრივია, ვერ მიიჩნევა რეალურ წლებად – მათ მხოლოდ სიმბოლური საზრისი აქვთ. შვიდი წელი შიმშილობის ხანგრძლივობაზე უფრო მის ინტენსივობას გამოხატავს.

უნდა ვიფიქროთ, რომ მოაბში ჩარჩენისგან ნაყოფის შვილები, პარადოქსია, მაგრამ სიკვდილმა გადაარჩინა. ყველაფერი მოეწყო ისე, რომ ნაყოფი რუთთან ერთად ბეთლემში დაბრუნებულიყო და იქ აღედგინა დაღუპული შვილისთვის სახელი.

### **ყორფა და რუთი**

თითქოს სიმბოლურია რომ, როცა მახლონი და ქილიონი მოაბში დაიხოცნენ, სწორედ ამ დროს „მოხედა უფალმა თავის ერს და მისცა პური“. რის უკმარისობამაც გამოდევნა ქვეყნიდან ეს ოჯახი ახლა მისმა მოსავალმა დააბრუნა. ვამბობთ ოჯახი, რადგან სანამ ცოცხალია ნაყოფი და მასთან არის მისი ერთ-ერთი რძალი მაინც, ოჯახი არ ითვლება გადაშენებულად. თუმცა ნაყოფის მდგომარეობა სრულიად უმწეო და იგი აცნობიერებს ამას. უშვილოდ მოხუცისთვის რძალი, მისი შვილის სამახსოვროდ მომავლის იმედი იქნებოდა, მაგრამ მასში პირადულს დაქვრივებული რძლების ბედნიერების პერსპექტივა გადაძლევს. როცა ორივე რძალი – ყორფა და რუთი – მოინდომებს, წაყვეს ნაყოფის მის სამშობლოში, ნაყოფის სიტყვები, რომლითაც ის მიმართავს მათ, ჭკმშიატი ალტრუისტული გრძნობით არის გამსჭვალული:

„გაბრუნდით, შვილებო, რისთვის უნდა წამომყვეთ? განა კიდევ მყავს მუცელში ვაჟები, რომ ქმრებად გაგიხდნენ? გაბრუნდით, შვილებო, წადით! დავბერდი, აღარ მეყოლება ქმარი, კიდევ რომ მქონდეს იმედი, კიდევ რომ ვიქნე ამდამ ქმართან და ვშვა ვაჟები, განა თქვენ დაელოდებით მათ დაზრდას? განა უარს იტყვით გათხოვებაზე? არა, შვილებო, ძალზე მენანებით, რადგან მომწვდა მე უფლის ხელი“ (1:11-13).

**შენიშვნა.** ე. წ. ლევიტის წესის თანახმად, დაქვრივებული ქალი გარდაცვლილი უშვილო ქმრის ძმას უნდა გაყვეს ცოლად, რათა გარდაცვლილისთვის შთამომავლობა აღუდგინოს (რჯ. 25:5) ჩვეულების წესით დაბადებული პირმო გარდაცვლილის შვილად უნდა შერაცხილიყო. არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ლევიტის წესი ავადდებულებდა ქვრივს, დალოდებოდა გარდაცვლილი ქმრის ძმის დაბადებას. ნაყოფი ამ სიტყვებით, უბრალოდ, ამდაფრებს თავის უსასო მდგომარეობას.

შთამბეჭდავია რუთის პასუხი. მის სიტყვებს და საქციელს პრეცედენტი არა აქვს მთელს ძველ აღთქმაში. ის საფრთხეები, რომლებსგანაც მოსეს რჯული ცდილობს ცალკეული ისრაელიანის და, საბოლოოდ, მთელი ისრაელის, როგორც რჩეულის ერის, არიდებას, ღრმა პიროვნული სიყვარულითა და ერთგულებით არის აცილებული. ყოველგვარი რიტორიკის გარეშე ადასტურებს რუთი ერთგულებას არა მხოლოდ ნაყოფისადმი, არამედ მისი ღმერთისა და ხალხისადმი, თუმცა ის ამ ხალხის ერთადერთ წარმომადგენელს იცნობს.

„სადაც შენ მიდიხარ, მეც იქ წამოვალ; სადაც შენ დაგიდამდება, მეც იქ დამიდამდეს. შენი ხალხი ჩემი ხალხია; შენი ღმერთი ჩემი ღმერთია. სადაც მოკვდები, მეც იქ მოკვდები და დავიმარხები“ (1:16-17).

უკეთესად ვერც კი გამოითქმებოდა უცხო ერთან შეკავშირება-შეთვისების

სურვილი. ეს სიტყვები მხოლოდ მოაბიდან ბეთლემამდე გზას არ გულისხმობს, არამედ მთელ მომავალ ცხოვრებას. რუთის ეს სიტყვები ქორწინების ფიცის ფორმულად დამკვიდრდა ისრაელში. რას ვხედავთ? ნაყომიმ, მოაბის მდგმურმა (გერ), მოაბელი მკვიდრი თავისი ერის მკვიდრად აქცია და ეს მისი თავისუფალი ნებით მოხდა. ნაყომის მისთვის არაფერი ურჩევია, არ ულაპარაკნია თავისი ღმერთის ძალმოსილებაზე (რისი რწმენაც ჰქონდა), არც თავისი ხალხის სტუმართმოყვარებასა თუ შემწყნარებლობაზე (რაც არ იქნებოდა მთლად სწორი); ახალგაზრდა ქალმა დედის ნაცვალის ქალის ხალხი აირჩია, რომელთა შესახებ თუ რამ იცოდა, მხოლოდ ნაყომის პიროვნული თვისებების მიხედვით შეიძლება სცოდნოდა. ასე მან მიატოვა „დედის სახლი“ და გაყვა ნაყომის.

ნაყომის მეორე რძლის, ყორფას დარჩენა, შესაძლოა, პროვიდენციულიც იყოს, რამდენადაც, როგორც დავინახავთ, ამბის ცენტრი რუთი გახდა და ყორფას ადგილი აღარ იქნებოდა ნაყომის გვერდით, რომელმაც ყველაფერი მოიმოქმედა იმისათვის, რომ რუთისთვის მყუდრო საყუდელი შეექმნა უცხო ქვეყანაში. ყორფას კოცნა იმის ნიშანი იყო, რომ მას „დედის სახლი“ ჰქონდა არჩეული და უნდა განშორებოდა. „გადაკოცნა ყორფამ დედამთილი, რუთი კი მიეკრო მას“.

წიგნის ავტორის პოზიციიდან, ცხადია, რუთი მეტ პატივს იმსახურებას, ვიდრე ყორფა, რომელმაც ნაყომისადმი სიყვარული იმით მაინც დაამტკიცა, რომ ერთხანს ბეთლემისკენ მიმავალი გზის გარკვეული მანძილი მასთან ერთად გაიარა და, ვინ, იცის, ნაყომის რომ არ ერჩია მათთვის, დაბრუნებოდნენ თავიანი „დედის სახლს“, ყორფაც ბოლომდე გაჰყვებოდა ნაყომის. არ არის სავარაუდო, რომ უკანდაბრუნებული ყორფა გაეკიცხათ იმისთვის, რომ ბოლომდე არ უერთგულა ნადედამთილარს. იგი დაუბრუნდა არა მხოლოდ „დედის სახლს“, საიდანაც კვლავ იპოვებდა თავის ბედს, არამედ თავის ხალხსაც და თავის ღმერთს თუ ღმერთებს.

რუთმა პიროვნების – ჯერ მახლონის, მერე ნაყომის – სიყვარულის გამო მიატოვა თავისი ხალხი და უარი თქვა თავის ღმერთებზე. ეს აქტი მისი პიროვნულ, როგორც ადამიანის, თვისებაზე მოწმობს, რაც არავითარ კავშირში არ აღმოჩნდა სამშობლოს სიყვარულთან და ღმერთებისადმი ერთგულებასთან. ბოლოს აღმოჩნდება, რომ რუთმა თავისი არჩევანით, რომელსაც სიყვარულისა და ერთგულების თანდაყოლილი გრძნობა ჰკარნახობდა, უცხო ქვეყანაში ისეთ პატივს მიაღწია, რომელიც მოაბში წარმოუდგენელი იქნებოდა.

## დაბრუნება

მოაბის ველებიდან ბეთლემამდე არც ისე შორი მანძილია. თავის დროზე ელიმელექის ოჯახი ან იუდას უდაბნოს გზით უნდა წასულიყო, შემოეარა მკვდარი ზღვის სამხრეთ ნაპირისთვის და აღმოსავლეთით, ედომის გავლით გასულიყო მოაბის ველებზე. ან უფრო: ბეთლემიდან ჯერ ჩრდილოეთით წასულიყო, მერე დასავლეთით აეღო გეზი და იერიხონთან იორდანე გადაეცა, და იქვე მოაბის ქვეყანა იყო. ასიოდე კილომეტრი აშორებდა ბეთლემს მოაბისგან, მაგრამ გზა სახიფათო უნდა ყოფილიყო ორი მარტოსული ქალისათვის.

ნაყომის მისვლა ბეთლემში საზოგადო ჟღერადობას იძენს. „შეიძრა მთელი ქალაქი მათ გამო“. იცნეს, ვერც იცნეს. რა ხანი უნდა გასულიყო მოაბში მისი მსხემობიდან, რომ მის დანახვაზე ეთქვათ დედაკაცებს: „ეს ნაყომია?“ *ჰაზოთ ნაყომი?* ან ეს სიტყვები შეიძლება ნიშნავდეს: „ეს ნამდვილად ნაყომია“. ორივე შემთხვევაში ეს შეძახილი ვერცნობის რაღაც ნიუანსს შეიცავს, ამავე დროს მოულოდნელობის გამოსატყულებაც არის. ფაქტია, რომ ის, ვინც ათზე მეტი წლის წინათ დატოვა ბეთლემი, სახეცვლილი დაბრუნდა. ნაყომი, შესაძლოა, ფიზიკურად არ იყო შეცვლილი, ცვლილება უფრო მის შინაგანს შეეხო, რაც კიდევ დაადასტურა მან სიტყვებით, რომლებიც მისალმების ნაცვლად შეაგება ბეთლემელ დიაცებს:

„უნდა დამიძახებთ ნაყომის (დაამებულს), დამიძახეთ მარა (გამწარებული), რადგან მეტისმეტად გამამწარა ყოვლადძლიერმა. სავსე წავედი და ცარიელი დამაბრუნა უფალმა. რატომღა უნდა მეძახდეთ ნაყომის? გამტანჯა უფალმა და გამაუბედურა ყოვლადძლიერმა“ (1:20-21).

**შენიშვნა.** ებრაული საკუთარი სახელები ან პიროვნების ხასიათს გამოხატავენ ან

სოსილუკის სუოვლას, რომ ახეოსი სუოს, ას სისას, რომელიც სას ეკოსოესა. სუკლ აღოქმასი რამდენიმე შემთხვევაა, როცა პიროვნებას სახელი ეცვლება იმის ნიშნად, რომ რაღაც შეიცვალა მის ცხოვრებაში (აბრაამს დაერქვა აბრაამი, სარას – სარაჰ, იაკობს – ისრაელი). ამ დროს პროვიდენცია უცვლის მას სახელს. ჩვენს შემთხვევაში კი ნაყოში თავად ირჩევს სხვა სახელს, რომელიც უფრო შეეფერება მის ამჟამინდელ მდგომარეობას. რა თქმა უნდა, ეს სახელცვლილება ვირტუალურია: ნაყოშის არავინ დაუძახებს მარას.

დოკუმენტურ თხრობაში, რომელიც რეალურად მომხდარ ამბებს აღწერს, არ არის მოსალოდნელი შეგნებული დამთხვევების ვარაუდი. მაგრამ მაინც სიმბოლურად მივიჩნევთ იმას, რომ ცარიელი (*რეკამ*) ნაყოშის მისვლა „პურის სახლში“, ბეთლემში, მკათათვის დასაწყისს დაემთხვა. ეს არის აპრილის ბოლო, მაისის დასაწყისი. ნაშიმშილარი ქვეყანა ივსება და ეს ნაყოშისაც ეხება – მისი სიცალიერე უნდა შეივსოს. აქეთკენ მიდის თხრობის ძაფი.

„დაბრუნება“ (*შუბ*) მეორე თავის საკვანძო სიტყვაა, იგი თორმეტგზის გვხვდება ტექსტში და, შესაძლოა, არა მხოლოდ ამ ერთი თავისა, სადაც მოაბის მდგმურის ფიზიკურ დაბრუნებაზეა საუბარი, არამედ მთელი წიგნისთვის, რამდენადაც ამ დაბრუნებით აღდგება ნაყოშის ოჯახის მკვიდრობა ბეთლემში.

## **ბოყახის ყანები**

ავტორი აღარ გადადებს კვანძის შეკვრას. ბიბლიურ დოკუმენტურ თხრობას რეტარდაციები არ სჩვევია. მისთვის უცხოა გადახვევები ძირითადი ხაზიდან, ეს ხაზი კი განუხრელად საბოლოო მიზნისკენ მიემართება. ეს მიზანია ცარიელი ნაყოშის *ავსება*, რომელშიც რუთს ღომის წილი აქვს. მაგრამ რძალი რუთი არ არის ოდენ საშუალება დედამთილის დაკნინებული ღირსების აღსადგენად, რაც წიგნის ძირითად საზრისს შეადგენს. რუთს თავისი უნიკალური ადგილი აქვს ამ ისტორიაში – წიგნის სახელიც ამას მოწმობს. თხზულების პერსონები ერთმანეთის ბედს აშენებენ. თითოეული მათგანი მიზანიც არის და საშუალებაც.

ასეთია ბოყახი, რომლის შემოყვანას თხრობაში არ აყოვნებს ავტორი. თხრობის ახალი პერიოდი პრეამბულით იწყება:

„ქმრის მხრიდან ნაცნობი ჰყავდა ნაყოშის, შეძლებული კაცი, ელიმელექის სანათესაოდან, სახელად ბოყახი“ (2:1).

გავეცნოთ, როგორ არის აგებული ისრაელის საზოგადოება, როგორ არიან ერთმანეთთან გადაწნული ერთობები. მთელი ისრაელი შედგება თორმეტი ტომისგან, რომელთა ერთიანობა ეფუძნება საერთო ფიზიკურ წინაპარს, იაკობს. მისი წიაღიდან გამოსულმა თორმეტმა შვილმა შექმნა თორმეტი ტომი. ტომის აღმნიშვნელი ორივე სახელწოდება *მატე* (შტო) და *შებეტ* (შტო) გვეუბნება, რომ თითოეული ტომი ერთი ხის განშტოებაა. ამავე დროს ამ სიტყვებს „კვერთხის“ მნიშვნელობაც აქვს. კვერთხი, რომელიც ხელთ უპყრია ტომის ბელადს, განმგებლობის სიმბოლოა. ამრიგად, ისრაელი შედგება თორმეტი საგანმგებლო კვერთხისგან. თავის მხრივ, თითოეული ტომი შედგება ერთობებისგან, რომლის სახელწოდება *მიშფახაჰ*, თითქოს ადამიანთა შორის უფრო ახლო ერთობაზე უნდა მიუთითებდეს, ვიდრე ტომია. სხვა სიტყვის არარსებობის გამო ჩვენ ერთობის ამ დონეს სანათესაოს (ან „საგვარეულოს“) ვუწოდებთ. ეს არის ერთობა, როგორც გარდამავალი რგოლი ტომსა და ოჯახს შორის. ოჯახს, რომელიც გაცილებით ფართოა, ვიდრე თანამედროვე ოჯახი, მამის სახლი ეწოდება – *ბეთ აბ*. ისინი, ვინც აღიარებენ ერთი მამისგან წარმოშობას და გრძნობენ მისი სახლისადმი კუთვნილებას განსაკუთრებით ახლო და მჭიდრო ერთობას ქმნიან. სახლი (*ბეთ*) აქ მოდგმას ნიშნავს. სახლის აშენება – შთამომავლობის შექმნას. არსებობს ისრაელის სახლი, არსებობს სანათესაოს სახლი და არსებობს მამის სახლი. თითოეული ადამიანი ერთდროულად ამ სამივე სახლს ეკუთვნის და პასუხისმგებელია თითოეული მათგანის მიმართ.

ყველა ნათესავი, რომელიც ერთი მამის ქვეშ ერთიანდება, ერთმანეთის ძმები არიან როგორც ტომის დონეზე (აქ მამა იაკობია, ტომის წევრები – ძმები), ისე საგვარეულოს (სანათესაოს) და მამისსახლის დონეზე. ასე რომ, მთელი ისრაელი ერთი საძმოა, რომელიც სხვადასხვა სიახლოვის ძმებისგან შედგება.

ბეთლემელი ბოყახი ეკუთვნის იუდას ტომს, შემდეგ იმავე სანათესაოს (*მიშფახას*), რომელსაც – ელიმელექი. მაგრამ ისინი სხვადასხვა მამის სახლებს ეკუთვნიან. თანამედროვე სისტემით ისინი ნათესავეებად ითვლებიან, მაგრამ

არცთუ ახლობელი არიან, ისინი მხოლოდ ცნობენ ერთმანეთს. ამიტომაც არის ბოყაზი ნოყამის ნაცნობად მოხსენიებული. მაგრამ, როგორც შემდგომ გაირკვევა, ბოყაზი განსაკუთრებული სტატუსის „ნაცნობი“ აღმოჩნდება.

თავის სამშობლოში დაბრუნებულ ნაყომის აღარაფერი გააჩნია ბეთლემში. სასიცოცხლოდ საარსებო წყაროს მოკლებულია. რუთი იძულებულია, ყანა-ყანა იაროს და მომკვლეების კვალზე აგროვოს დარჩენილი თავთავები, რის უფლებასაც მოსეს რჯული აძლევს ქერივ-ოხრებს, როგორც ნაყომი და რუთია. რუთი სარგებლობს ამ კანონით, როგორც ჩანს, ის არც მოაბისთვის უნდა ყოფილიყო უცხო. რჯული ამბობს: „როცა სამკალი გექნებათ თქვენს მიწაზე, ერთიანად ნუ მომკი შენს ყანას მკის დროს. სამკალში დაცვენის ნუ აკრეფ, ღარიბ-ღატაკს და მდგმურს დაუტოვე“ (ლევ. 23:22). აი, საიდან იწყებს ერთ დროს ბეთლემის ლეგიტიმური ოჯახის თუ სანათესაოს წევრი და მიწის მკვიდრი ნოყამი. თუმცა მომავლის იმედი, რომელიც ნაყომში კიაფობს. მთლიანად დაკარგული არ არის. ამას მოწმობს პრემბულია ნაცნობი ბოყაზის ხსენებით.

„და წავიდა (რუთი) და შეუდგა აკრეფას ყანაში მომკელთა კვალზე და იმ ბოყაზის ყანაში მოხვდა, ელიმელექის სანათესაოდან რომ იყო“ (2:3).

ეს მოხვედრა, ცხადია, რუთისთვის შემთხვევითი იყო, მაგრამ არც ავტორს, რომელიც მოუთხრობს თავისი დროისთვის საკმაოდ ძველ ამბავს („ასე იქცეოდნენ ძველად ისრაელში...“), და არც ნოყამის, რომელიც რაღაც სასიკეთოს მოლოდინშია, შემთხვევითად არ მიუჩნევიათ. ამ მოხვედრაში ორივემ – ავტორმა და ამბის მონაწილემ უფლის ხელი დაინახა. ნოყამი დაელოდა უამს – მას არც კი უცდია, რუთისთვის ერჩია ბოყაზის ყანაში წასულიყო; არც მანამდე გამოუჩენია ინციტივა, რომ გაეხსენებინა ბოყაზისთვის ელიმელექი, მისი ნათესავი. მაგრამ, როცა გაიგო ნაყომიმ, თუ როგორი მადლი ჰქონდა რუთმა ყანის პატრონის ბოყაზის თვალში, თუ მხევალისთვის როგორი უჩვეულო პატივით გამოარჩია თავის მომკელთა შორის, რაკი გაგონილი ჰქონდა მისი ერთგულება ქერივი და შვილებამოწყვეტილი ქალის მიმართ, და კიდევ, რომ დედ-მამა და სამშობლო მხარე მიატოვა და უცხო ხალხთან წამოყვა დედამთილს, ნაყომი მიხვდა, რომ ხსნა ახლოს იყო და აღმოხდა: „დალოცვილი იყოს იგი უფლისაგან, რომ წყალობა არ მოაკლო არც ცოცხლებს და არც მკვდრებს!“ (2:20). მკვდრებში ელიმელექი და რუთის ქმარი მახლონი იგულისხმებიან, ცოცხლებში – ნაყომი და რუთი. ნოყამი მიხვდა, რომ ბოყაზი მზად არის შეასრულოს თავისი მოვალეობა გადაშენების პირას მისული ოჯახის წინაშე.

რა მოვალეობაა ეს?

ნოყამი ამბობს: „ჩვენი ახლობელია ეს კაცი. ჩვენს უახლოეს ნათესავთაგანია“.

მეთხველს განსაკუთრებულს ვერაფერს ეტყვის ამ წინადადებაში „უახლოესი ნათესავი“. აქ თითქოს ტაგელოლოგიაა: „ახლობელი“ და „უახლოესი ნათესავი“ თითქოს იმეორებენ ერთმანეთს. მაგრამ „ახლობელს“ (კარობ) აზუსტებს „უახლოესი ნათესავი“ (გო'ელ), რომელიც განსაკუთრებული კატეგორიის ნათესავს აღნიშნავს. ნაყამი ალბათ აუხსნიდა მოაბელ რძალს, რას ნიშნავს ისრაელიანთა სანათესაოში „უახლოესი ნათესავი“ ანუ გო'ელ, რათა მუორედ შეხვედრისას ცოდნოდა, ბოყაზის სახით ვისთან აქვს საქმე და რას უნდა მოელოდეს მისგან.

## გო'ელი

ვინ არის გო'ელ?

გო'ელად – პირდაპირი მნიშვნელობით „მხსნელი“, „გამომსყიდველი“ – იწოდება უახლოესი ნათესავი, რომელსაც ევალება თავისიანის სისხლის აღება, ან უძეოდ გარდაცვლილი ნათესავის სახელის აღდგენა მის ქერივზე ლევირატის წესით დაქორწინებით, ან გადატაკებულის ქონების (ყანა და სხვა) გამოსყიდვა. გო'ელ ღმერთის, როგორც აბსოლუტური გამომსყიდველის და მხსნელის, ერთ-ერთი ტიტულია: „ნუ გეშინია, მატლო იაკობ, ერთი ბეწვა ისრაელ! ამბობს უფალი და შენი გამომსყიდველი...“ (ეს. 41:14). ნოყამი ბოყაზს, როგორც უფალს, ისე შეჰყურებს, ისე ამყარებს მასზე იმედს, რაკი იგი გო'ელად მიიჩნია. ნოყამი რუთს ამგვარად არიგებს:

„ახლა ბოყაზი ხომ ჩვენი ნაცნობია, რომლის მსახურებთანაც ნამყოფი ხარ. აჰა, ამ თამით ძირს ანიაფებს ალოზი. დაიბანო. ზოთი იახე. დამოწყვი და

კალოზე გადი. არ დაენახო ამ კაცს, სანამ სმაჭამას არ მორჩება. როცა დასაწოლად წავა, გაიგე, სად წევს. მიდი, ფეხებთან მოსასხამი გადაუწიე და მიუწევი. თავად გეტყვის, უნდა მოიქცე“ (3:2-3).

რუთმა სიტყვასიტყვით შეასრულა დედამთილის დარიგება. ჩვენი თვალთ იხე ჩანს, თითქოს დედამთილი ბოყაზის შეცდენისკენ უბიძგებს. მაგრამ ის, რაც მოხდა კალოზე შუადამისას, ალბათ რიტუალია, რომელმაც უნდა შეასენოს გო'ელს თავისი მოვალეობა. მაგრამ შეცდა ნოყამი: ბოყაზი არ აღმოჩნდა ის ნათესავი, რომელსაც პირველ რიგში ევალეობდა მათი გამოსყიდვა (ხსნა). მაგრამ ამ შეცდომას გაგებით მოეკიდა ბოყაზი.

„შუადამისას შეერთა კაცი: რაღაცას შეეხო და, აჰა, ქალი უწევს ფეხით. თქვა: ვინ ხარ? მიუგო: რუთი ვარ, შენი მხევალი. გადააფარე ფრთა შენს მხევალს. შენ ხომ ნათესავი (გო'ელ) ხარ“ (3:8-9).

„ფრთის გადაფარება“ სწორედ გო'ელის მოვალეობის სიმბოლური გამოხატულებაა. რუთმა ეს თხოვნა-შევედრება წინასწარ სიმბოლურად შეასრულა, როცა მის ფეხით, მის მოსასხამ ქვეშ მოიკალათა. ბოყაზი მიხვდა ამ ქმედების აზრს – რუთის განზრახვას, რომ რუთი მას უახლოეს ნათესავად თვლიდა და მისგან მფარველობას მოელოდა. ბოყაზმა რუთს ღირსებაში ჩაუთვალა, რომ სწორედ მას, ხანდაზმულ ადამიანს, მიაკითხა გო'ელის ვალდებულების აღსასრულებლად და არა იმას, ვინც მასზე ახლობელი ჰყავდა ნოყამის ოჯახს, უფრო ახლგაზრდას. ამას გულისხმობს ბოყაზის სიტყვები:

„დალოცვილი იყავ უფლისაგან, შვილო. რაც ახლა მადლი ჰქენი, წინანდელზე უკეთესია. ყმაწვილთაგანს ვინმეს რომ არ წაჰყევი, არც ღარიბს, არც მდიდარს.

ახლა ნუ გეშინია, შვილო. ყველაფერს შევისრულებ, რასაც მეტყვი, რადგან მთელმა ხალხმა იცის, რომ ღირსეული ქალი ხარ.

ახლა, ნამდვილად ნათესავი (გო'ელ) ვარ, მაგრამ არის ნათესავი (გო'ელ), ჩემზე ახლობელი.

გაათიე ეს ღამე და, თუ დილით მან გინათესავა, ხომ კარგი, გინათესავოს; თუ არ ისურვა და არ გინათესავა, მაშინ მე თავად გინათესავებ, უფალს ვფიცავ“ (3:10-13).

შესაძლებელია, ნოყამიმ იცოდა იმ უახლოესი ნათესავის არსებობა, მაგრამ მაინც ბოყაზს დაენდო და არ შემცდარა. როგორც შემდგომ გაირკვა უახლოესმა ნათესავმა, რომელსაც პირველ რიგში უნდა აღესრულებინა გო'ელის ვალდებულება, ბოლომდე ვერ იტვირთა იგი.

ყველა მნიშვნელოვანი საქმე ქალაქის კარიბჭესთან წყდება, აქ იკრიბებიან ქალაქის მამები. თითოეულ მოქალაქეს, ქალაქის სრულუფლებიან შვილს, შეუძლია საჯაროდ გააცხადოს თავისი საჭიროება, რადგან ყოველი საქმე, რაც უნდა უმნიშვნელო მოგვეჩვენოს დღეს, საჯაროდ მოწმეების წინაშე უნდა გადაწყდეს. და, აი ბოყაზი ზის ბეთლემის კარიბჭესთან და ელოდება, როდის ჩაივლის უახლოესი ნათესავი. კაცი, რომელიც დილაადრიანად ეშურება თავის ყანაში სამუშაოდ, რადგან მკის დროა, კარიბჭეს ვერ აუვლის გვერდს. გო'ელიც (სახელი არ ვიცით) გამოჩნდა და ბოყაზმა მოიხმო იგი და ათი მოწმის თანდასწრებით აუწყა ამბავი:

„ჩვენი ძმის, ელიმელექის ყანის ნაკვეთს ჰყიდის ნოყამი, რომელიც მოაბის ველებიდან დაბრუნდა.

ახლა ვამბობ შენს ყურადსადებად: იყიდე ყანა აქ მსხდომთა წინაშე და ჩემი ხალხის უხუცესთა წინაშე. თუ გსურს გამოსყიდვა, გამოსყიდე. თუ არა და, მითხარი და მეცოდინება, რადგან შენს გარდა არავინაა გამომსყიდველი. მე შენს შემდეგ ვარ“ (4:3-4).

ბოყაზი ჯერ შუამავლის როლში გამოდის: მოუწოდებს, უახლოეს ნათესავს შეასრულოს წესი, რომელსაც რჯული ავალეებს ყოველ ისრაელიანს. წესი ასეთია: გარდაცვლილი კაცის სამკვიდრო პირველ რიგში გადადის ვაჟზე, მერე ასულზე, ბოლოს ძმებზე და, თუ არც ვაჟი დარჩა, არც ასული და არც ძმა, სამკვიდრო მისი საგარელოდან უახლოეს ნათესავში უნდა გადავიდეს (რი:ხ.



27:8-11). ამ წესის თანახმად, ცოლზე არ გადადის სამკვიდრო, ამიტომაც ნოყამი ვალდებულია მიყიდოს იგი უახლოეს ნათესავს საგვარეულოდან. ამ წესის საზრისი ის არის, რომ საგვარეულოს მთლიანობის შესანარჩუნებლად არ უნდა დაიშვას სამკვიდროს გასვლა საგვარეულოს მფლობელობიდან, რომ ქვრივს მეორედ გათხოვებისას თან არ გაჰყვეს სამკვიდრო სხვა საგვარეულოში. სამკვიდრო რომ დარჩეს საგვარეულოში, ქვრივი გარდაცვლილი ქმრის ძმამ უნდა შეირთოს, მაგრამ, რაკი ელიმელექს ძმა არ ჰყავს და ნოყამიც მოხუცებულია იმისათვის, რომ მისმა მაზლმა შეძლოს სახელი აღუდგინოს საგვარეულოში გარდაცვლილ ძმას, ამიტომ მთელი იმედი რუთზეა, რუთმა უნდა იხსნას გადაშენებისგან ელიმელექის სახლი.

ბოყაზის წინადადებაზე უსახელო უახლოესი ნათესავი თანახმაა, მაგრამ რუთის თხოვაზე უარს ამბობს, რადგან არ სურს თავისი მონაგრისთვის ზიანის მიყენება. ლევირატის წესის მიხედვით, რუთისგან შექმნილი ვაჟი ხომ მის შვილად არ ჩაითვლება: მიწა ისევ მას დაუბრუნდება.

„თქვა უახლოესმა ნათესავმა: ვერ გამოვისყიდი. ვაითუ, ჩემი სამკვიდრო დავაზარალო. შენ შეასრულე გამოსყიდვის ჩემი უფლება, რადგან მე არ შემძლია გამოსყიდვა“ (4:6).

და, რასაც ამის შემდეგ ბოყაზი იტყვის ერის უხუცესთა თანდასწრებით, სრულ თანხმობაშია იმ რჯულთან, რომელიც ოდესღაც უდაბნოში დაუწესა ისრაელიანებს მოსემ. ბოყაზი ამბობს და მისი სიტყვები, როგორც ფიცი, სახეიმოდ უღერს:

„დღეს თქვენ მოწმენი ხართ, რომ ვყიდულობ ნაყომისგან ელიმელექის მთელ საბადებელს, და ქილიონისა და მახლონის მთელ საბადებელს, და ცოლად მომყავს მოაბელი რუთიც, მახლონის ცოლი, რომ სახელი აღუდგინო გარდაცვლილს თავის სამკვიდროში, რომ არ გაქრეს გარდაცვლილის სახელი ძმათა შორის და იმ უბნის კარიბჭესთან, სადაც ის ცხოვრობდა. ამის მოწმენი ხართ თქვენ დღეს“ (4:9-10).

ამრიგად, ბოყაზმა აღასრულა ტრადიციული ვალი, რაც მას კარიბჭესთან შეკრებილებმა სიქველედ ჩაუთვალეს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ *გოელის* ვალი მისთვის მძიმედ აღსასრულებელი არ იყო (უნდა ვიფიქროთ, რომ მას, როგორც იმ უსახელო *გოელს*, ჰყავდა ოჯახი და შთამომავლობა: ძნელია ხანდაზმული შეძლებული ისრაელიანის მარტოხელად წარმოდგენა), ამ ტრადიციულ აქტში ჩართულია სიყვარული, რაზედაც საერთოდ ბიბლია თითქმის არ ლაპარაკობს (ერთადერთი გამონაკლისი იაკობის შემთხვევაა) და არც ამ წიგნში უნდა გვქონოდა იმის მოლოდინი, სიყვარული რუთისა და ბოყაზის ურთიერთობაში თემატიზებული იქნებოდა.

ამ ქორწინებით წრე შეიკრა. ავტორის ყურადღება გადადის ნაყომიზე, რომლის სიცალიერე აივსო ვაჟის დაბადებით. „სავსე წავედი და ცარიელი დამაბრუნა უფალმა“, ამას მოაბიდან ბეთლემს დაბრუნებული ნოყამი ამბობდა, ახლა ბეთლემელი ქალები, რომლებიც მისი მოსვლისას კგაკვირვებით და სიბრალულით კითხულობდნენ, ნუთუ ეს ნაყომია, ეუბნებიან მას: „შენი სიბერის ნუგეშად და სასოვდ გეყოლოს, რადგან შვა იგი შენმა საყვარელმა რძალმა, რომელიც შვიდ ვაჟიშვილს გირჩევნია“ (4:15). ბეთლემელი ქალები უფრო მეტიც უთხრეს, ახალდაბადებული მის შვილად მიიღეს: „ვაჟი შეეძინა ნაყომის!“

ამრიგად რუთის მეშვეობით არა მხოლოდ მის ქმარს მახლონს აღუდგა სახელი თავის საგვარეულოში, არამედ აბიმელექსაც და მასთან აივსო ნაყომიც. ჩანს, ის სიხარული, რომელსაც განიცდიდა იგი, ბეთლემელთა საერთო სიხარული იყო. ის ვაჟიც არა მხოლოდ ნაყომის, არამედ მთელი ისრაელის იმედად იშვა:

„კურთხეულია უფალი, რომელმაც *გოელი* არ მოგიშალა დღეს! იხსენებოდეს ისრაელში მისი სახელი!“ (4:14),

რაც იმას ნიშნავს, რომ *გოელის* სტატუსი ბოყაზიდან ახალშობილზე – ყობედზე გადადის, აწ უკვე სიმბოლური (მხსნელის) მნიშვნელობით. ამ თავის მოთხრობას, რომელსაც დამოუკიდებელი ღირებულება აქვს ბიბლიის წიგნებს შორის, ავტორი ამთავრებს გენეალოგიით, რომელიც დავით ისრაელის მეფის სახელით მთავრდება. „... ბოყაზმა შვა ყობედი, ყობედმა შვა იესე, იესემ შვა

დავითი“.

ეს არის რუთის წიგნის ბოლო სიტყვები.

Zurab Kiknadze  
The book of Ruth  
Summary

The Book of Ruth together with the Book of Jonah, Esther, the story of Joseph is a wonderful literary composition. The narrative is told with much picturesque and graceful detail, and affords an idyllic glimpse of home life ancient Israel. The key pattern of the narrative can be stated abstractly as *emptiness-fullness*, which manifested in several levels: in the level of the country - dearth and famine/harvest-abundance; in the social level – emptiness/ fullness of house (family); in the personal level - maternal emptiness/fullness of the woman. There is clear parallel between the barren land and barren old woman. The beginning and end of the narrative are firmly linked, all figures (all of them bear own individual mission) come together are fused in splendour and tenderness.